

# ჯანმრთელობის კერძო დაზღვევის გამოწვევები საქართველოში

სტუდენტები: ნათია ლომიძე

ლაშა ბაკურაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის სკოლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა, პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

## განაცხადი

*როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს  
ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე  
გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს,  
რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების  
შესაბამისად.*

ნათია ლომიძე

ლაშა ბაკურაძე

26.06.2019

## **Abstract**

**Introduction:** the following master's thesis concerns a private health insurance sector in Georgia and aims to demonstrate the challenges that the insurance sector faces in private health insurance aspects, how and which methods use the insurance companies to deal with those challenges.

**Methodology:** Non-probability, quantitative and cross-sectional research methods have been selected. The survey was conducted through a preformed, structured, self-administered questionnaire. It lasted three months (March-May 2019). 90 beneficiaries, insured in private insurance companies, have been interviewed. 9 private insurance companies have been selected. In addition, the official survey was conducted and full information has been requested from the insurance companies: "GPI and "ARDI".

**Results:** As the results of the survey showed us, the private health insurance market is at a high level of development in Georgia and fully meets its requirements. However, its noteworthy, that two major problems have been discovered: booking the personal doctor and inadequate timeframe of compensation; as we can see, the first one is mainly technical error, and second one is directly related to the insurance companies' service quality.

**Recommendations:** since, two main issues have been discovered during the research - booking the personal doctor and inadequate timeframe of compensation, the immediate action directed to both problems by the insurance companies is necessary, because, nowadays, the huge part of the Georgian population uses the private insurance package and, therefore, improving service quality, relatively flexible and affordable prices for healthcare are very important for them.

**Keywords:** Private health insurance in Georgia, the challenges of private health insurance in Georgia.

## აბსტრაქტი

**შესავალი:** სამაგისტრო ნაშრომი ეხება ჯანმრთელობის კერძო დაზღვევის გამოწვევებს საქართველოში და მიზნად ისახავს იმის წარმოჩენას, თუ რა გამოწვევების წინაშე დგას საქართველოში სადაზღვევო სექტორი, ჯანმრთელობის კერძო დაზღვევის ასპექტში და თუ როგორ და რა მეთოდებით უმკლავდებიან სადაზღვევო კომპანიები ამ გამოწვევებს.

**მეთოდოლოგია:** შერჩეული იქნა არაალბათური, რაოდენობრივი, ჯვარედინი სექციური კვლევა. ჩატარდა წინასწარ შედგენილი სტრუქტურირებული, თვით-ადმინისტრირებადი კითხვარის მეშვეობით. კვლევა მიმდინარეობდა 3 თვის განმავლობაში (2019 წლის მარტი-მაისი). გამოიკითხა კერძო სადაზღვევო კომპანიებში დაზღვეული 90 ბენეფიციარი. კვლევისათვის შეირჩა 9 კერძო სადაზღვევო კომპანია. ამასთან, ოფიციალური კვლევა ჩატარდა და გამოვითხოვეთ სრული ინფორმაცია კერძო სადაზღვევო კომპანიებიდან: „ჯი პი აი“ და „არდი“.

**შედეგები:** კვლევის შედეგებმა გვაჩვენა, რომ საქართველოში ჯანმრთელობის კერძო დაზღვევის ბაზარი არის განვითარების მაღალ საფეხურზე და სრულად პასუხობს ბაზარის მოთხოვნებს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოიკვეთა ორი ძირითადი პრობლემატიკა: პირად ექიმთან ჩაწერის პრობლემა და ანაზღაურების ვადების დაუცველობა. როგორც ვხედავთ, პირველი პრობლემა უმეტესად ატარებს ტექნიკურ ხასიათს, ხოლო მეორე პირდაპირ კავშირშია სადაზღვევო კომპანიების მომსახურების ხარისხთან.

**რეკომენდაციები:** ვინაიდან, კვლევის საფუძველზე გამოჩნდა სადაზღვევო პაკეტით სარგებლობის ორი მთავარი ხარვეზი, ესაა: პირად ექიმთან ჩაწერის პრობლემა და ანაზღაურების ვადების დაუცველობა, აუცილებელია, სადაზღვევო კომპანიების მიერ მყისიერი რეაგირება ორივე მათგანზე, რადგან დღეისათვის საქართველოში მოსახლეობის ძალზე დიდი ნაწილი იყენებს სწორედ კერძო სადაზღვევო პაკეტს და მათთვის მნიშვნელოვანია ხარისხის გაუმჯობესება და შედარებით მოქნილი, ხელმისაწვდომი ფასები ჯანდაცვაზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ჯანმრთელობის კერძო დაზღვევა საქართველოში,  
ჯანმრთელობის კერძო დაზღვევის გამოწვევები საქართველოში.